



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 198

ქალაქი ქუთაისი 28 ოქტომბერი 2015 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის №115 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე-დ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის მეორე პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

მუხლი 1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის №115 განკარგულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ამოღებულ იქნეს საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხიდან №121 პუნქტი;
2. საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხას დაემატოს №555–№570 პუნქტები თანდართული რედაქციით.

/დანართი განკარგულებას თან ერთვის/

მუხლი 2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრადის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარის

მოადგილე

ნიკოლოზ ლატარია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და
სარეგლბომაში გასაცემი ობიექტების ნ უ ს ხ ა

№	ქონების დასახელება	მისამართი	ფართობი (კვ.მ.)	სარეგისტრაციო ნომერი
1	2	3	4	5
555	მიწის ნაკვეთი	ახალგაზრდობის გამზირის პირველი შესახვევი №29-ის სამხრეთით	45.0	03.06.25.490
556	მიწის ნაკვეთი	ილ. ჭავჭავაძის გამზირი №45-ის სამხრეთით	111.0	03.04.30.479
557	მიწის ნაკვეთი	ბუკიას ქუჩა №13-ის სამხრეთით	69.0	03.01.24.536
558	მიწის ნაკვეთი	ირ. აბაშიძის გამზირი №31-ის დასავლეთით	121.0	03.01.24.535
559	მიწის ნაკვეთი	რუსთაველის გამზირი №98-ს დასავლეთით	185.0	03.03.21.520
560	მიწის ნაკვეთი	ხარებავას ქუჩა №5-ის სამხრეთით	180.0	03.01.23.408
561	მიწის ნაკვეთი	ახალგაზრდობის გამზირი №98-ის აღმოსავლეთით	47.0	03.06.25.494
562	მიწის ნაკვეთი	ბუკიას ქუჩა №13-ის სამხრეთით	680.0	03.01.24.541
563	მიწის ნაკვეთი	ბუკიას ქუჩა №13, ნაკვეთი №1	464.0	03.01.24.542
564	მიწის ნაკვეთი	ილ. ჭავჭავაძის გამზირი №2-ის აღმოსავლეთით, ნაკვეთი №1	527.0	03.04.32.687
565	მიწის ნაკვეთი	ილ. ჭავჭავაძის გამზირი №2-ის აღმოსავლეთით, ნაკვეთი №2	414.0	03.04.32.688
566	მიწის ნაკვეთი	ილ. ჭავჭავაძის გამზირი №2-ის აღმოსავლეთით	691.0	03.04.32.689
567	მიწის ნაკვეთი	ჩხოზაძის ქუჩა №20-ის აღმოსავლეთით, ნაკვეთი №1	515.0	03.01.23.412
568	მიწის ნაკვეთი	ჩხოზაძის ქუჩა №20-ის აღმოსავლეთით, ნაკვეთი №2	515.0	03.01.23.411
569	მიწის ნაკვეთი	ჩხოზაძის ქუჩა №20-ის აღმოსავლეთით	515.0	03.01.23.413
570	შენობა-ნაგებობა	ა. წერეთლის ქუჩა №160	1558.0 მიწა შენობა №1 – 2146.77 კვ.მ. სამეურნეო ფართი – 295.92 კვ.მ.	03.06.21.171

საკრებულოს თავმჯდომარის
მოადგილე

ნიკოლოზ ლატარია